სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება № 01-02/164

„ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის **მიღების გამოცხადებისა** და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს N01-02/159 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის N19 დადგენილების, „ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/77 დადგენილების, „2023-2024 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს N06-01/93 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 12 სექტემბრის N1132077 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს N01-02/159 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2023 წლის 11-13 სექტემბერს, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე** (ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი N20, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).";

ბ) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. შეიქმნას **დოქტორანტურაში მიმღები კომისია** წინამდებარე ბრძანების **№4 დანართის** შესაბამისად (სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი№20) და დაევალოს:

ა) მიიღოს და დაამუშაოს დოქტორანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია - **2023 წლის 11-13 სექტემბრის ჩათვლით,** ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში;

ბ) უზრუნველყოს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება - **2023 წლის 25 სექტემბერს,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ამ პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (არანაკლებ 1000 ლარის) გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე.

გ) გრძანების N1 დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე გრძანების N1 დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) გრძანება განათავსოს ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს გრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. გრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

5. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N 30.) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

“ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს N01-02/159 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის N 01-02/164 ბრძანების

დანართი N1

№	„2023-2024 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 აგვისტოს №06-01/93 დადგენილებით განსაზღვრული **ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები**	**მისაღები კონტინგენტი** (ადგილების რაოდენობა)
1	ბიოლოგია	5
2	ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი	1
3	ფილოლოგია	7
4	ისტორია	3
5	არქეოლოგია	1
6	ბიზნესის ადმინისტრირება	3